ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №421395

ნომერი: AR189861

თარიღი : 01.11.2012

გაცემის თარიღი : 06.11.2012

გაცნობის თარიღი : 08.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდლის , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა აფციაური პ/ნ 01008036008
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1ა ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, საპროექტო დავალებით გათვალისწინებული გაქვთ არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია – მიშენებით, აღნიშნული სამუშაოები კი ცდება I კლასის კატეგორიას და წარმოადგენს ისეთ მშენებლობას, რომლის განხორციელება საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში უნდა დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დასადგენად (ამისათვის უნდა შეარჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" - "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა").

წინააღმდეგ შემთხვევაში (იმ შემთხვევაში თუ გსურთ, რომ საკითხი განხილული იქნას I კლასის კუთხით) საპროექტო საქვაბე უნდა განაცალკევოთ არსებული შენობა-ნაგებობისაგან, ისე, რომ იგი წარმოადგენდეს დამოუკიდებელ, ცალკეფუნქციონირებად ნაგებობას (გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულის განხორციელება არქიტექტურის სამსახურს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია). ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ განახლებული მონტაჟი, დეტალურად ზომებისა და მასალის მითითებით და საჭიროებისამებრ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ასევე უნდა განხორციელდეს "მოთხოვნის ტექსტი"-ს კორექტირება (სადაც უნდა დაფიქსირდეს ის გარემოება, რომ შენობა ცალკემდგომია), განაცხადის რეგისტრაციისას კი (ამისათვის ისარგებლეთ ნომენკლატურის შეცვლის ღილაკით) უნდა შეარჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" - "60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა" - ქმედებები "ახალი მშენებლობა" და ღობის მოწყობის შემთხვევაში "60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა" - "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე" - ქმედებები "ახალი მშენებლობა".

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.